ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ოქმი

ქ. ახალციხე 2023 წელი, 31 ოქტომბერი

დღის წესრიგი

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;
2. 2024 წელს დაგეგმილი პროექტები და სიახლეები;
3. შეხვედრის მონაწილეების შეკითხვები, წინადადებები და ინიციატივები;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა, ირაკლი ლაზარაშვილმა „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ ახალციხის ოფისში, ადგილობრივი არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორის, მედიასაშუალებებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. შეხვედრას მერის მოადგილეები ილია ზარდიაშვილი და რუბენ კარაპეტიანი ესწრებოდნენ.

მერმა, აუდიტორიის წინაშე დეტალურად ისაუბრა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე და აღნიშნული პროგრამების ფარგლებში მოსახლეობისათვის გაწეულ დახმარებაზე, კულტურის, განათლებისა და სპორტის მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებზე, ასევე, მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული იურიდიული პირების მიერ გაწეულ მუშაობასა და 2024 წლის გეგმებზე.

როგორც, ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მერიისთვის ძირითადი პრიორიტეტებია ინფრასტრუქტურის განვითარება, ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების დაცვა, განათლება და კულტურა. მისვე თქმით, ეს ის

მიმართულებებია, რომლებიც ორიენტირებულია მოსახლეობის მხარდაჭერაზე, ცხოვრების დონის ამაღლებაზე და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტის ზრდის ტენდენციაზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი:

- დამტკიცებული - 30 მილიონი ლარი;
- 1 ოქტომბრის მდგომარეობით - 50 611 ათასი ლარი;

2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროგრამების მიხედვით:

2023 წლის 1 ოქტომბრისთვის ბიუჯეტიდან სულ გაიხარჯა 26 939,0 ათასი ლარი,

მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება - 3 154, 6 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 23 784,0 ათასი ლარი.

მათ შორის გახარჯულია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის - 10 013,9 ათასი ლარი.
- დასუფთავება და გარემოს დაცვისთვის - 4 956,2 ათასი ლარი.
- განათლებისთვის - 3 900,3 ათასი ლარი.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით - 2 920,7 ათასი ლარი.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის - 1 222,7 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

2023 წელს ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული საჭიროებების უზრუნველსაყოფად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით ხორციელდება 114 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 19 882 956 ლარს. ოქტომბრის თვის მდგომარეობით, 44 პროექტი დასრულებულია, ნაწილი აქტიურ ფაზაში, ნაწილი კი დასრულების ეტაპზეა.

ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსების წყაროების მიხედვთ: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 15 პროექტი, ღირებულებით, 6 979 940 ლარი; ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 51 პროექტი, ღირებულებით 8 020 495 ლარი; სკოლების რეაბილიტაცია - 2 პროექტი, ღირებულებით 154 503 ლარი; „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ - 46 პროექტი, ღირებულებით 1 812 000 ლარი; მთის ფონდი - 1 პროექტი, ღირებულებით 611 000 ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია: 2023 წელს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ჯამში 25 კილომეტრამდე სიგრძის გზა ეწყობა. ამ დროისთვის დასრულებულია 11 მასშტაბური პროექტი, გარდა ამისა, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზები წესრიგდება. ამ ეტაპზე, რეაბილიტაცია უტარდება ქალაქ ახალციხეში ბაგინაშვილისა და ტაბიძის ქუჩებზე, გზის 600 მეტრიან მონაკვეთს.

დასრულებული მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ასპინძის ქუჩის საავტომობილო გზის და სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია - მოეწყო გზის ნახევარ კილომეტრიანი მონაკვეთი;
- სოფლების საყუნეთი-ტყემლანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - მოეწყო 2 კილომეტრი სიგრძის გზა;
- ქალაქ ახალციხეში ყაზბეგის ქუჩის რეაბილიტაცია - მოეწყო გზის ნახევარ კილომეტრიანი მონაკვეთი;
- ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - ბეტონის საფარი დაიგო 619 მეტრიან მონაკვეთზე;
- ქალაქ ვალეში, მაჭარაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - მოეწყო 1300 მეტრიანი მონაკვეთი;
- სოფელ მუგარეთში შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - მოეწყო გზის ნახევარ კილომეტრიანი მონაკვეთი;
- სოფლების გიორგიწმინდისა და ფერსის დამაკავშირებელი ე.წ. ზედა გზის რეაბილიტაცია - მოეწყო გზის 1300 მეტრიანი მონაკვეთი;
- სოფელ აწყურის ცენტრალური ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - მოწესრიგდა 1300 მეტრიანი მონაკვეთი;
- სოფელ ანდრიაწმინდის გზა - მოეწყო გზის 1200 მეტრიანი მონაკვეთი;
- სოფლების საძელი-ყულალისის დამაკავშირებელი გზა - ასფალტის საფარი დაიგო 1800 მეტრი სიგრძის გზაზე;
- სოფელ ანის გზა - ბეტონის გზა მოეწყო 800 მეტრიან მონაკვეთზე;

სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია: ამ დროისთვის, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წინუბანსა და გურკელში სასმელი წყალის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია; დასრულების ეტაპზეა სოფელ სვირის სასმელი წყლის მაგისტრალის მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ასევე, მიმდინარეობს სოფელ გიორგიწმინდის სასმელი წყალის სისტემის მოწყობა;

სარწყავი წყლის სისტემების რეაბილიტაცია: ქალაქ ვალეს ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს ორი მასშტაბური პროექტი, კერძოდ ე.წ. ,,ბორახჩის" და ე.წ. ,,წისქვილების" სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია: სანიაღვრე კოლექტორი მოეწყო ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩაზე; სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე დაგეგმილია - რაბათის დასახლებაში ყაზბეგის ქუჩაზე, სოფლებში ზიკილიასა და ანში;

შენობების ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია: მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია. ამ დროისთვის დასრულებულია 10 კორპუსის რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდა ქალაქ ვალეში, ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე 5 და ქალაქ ახალციხეში, კოსტავას, რუსთაველის, თამარაშვილის ქუჩებზე და ვარძიის ჩიხში მდებარე 5 შენობას; ამ დროისთვის, მიმდინარეობს თამარაშვილის ქუჩაზე №29, №31-სა და №33-ში მდებარე მრავალსართულიანი კორპუსების ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია; ასევე, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაგეგმილია თამარაშვილის ქუჩა №-6-შიც.

საბავშვო ბაღები:_ ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა მიმდინარეობს სოფელ აგარასა და სოფელ მუსხში; მიმდინარე წელს, ქალაქ ახალციხეში სადემონტაჟო სამუშაოები ჩაუტარდა №2 და №4 საბავშვო ბაღებს და მათ ადგილზე უახლოეს ხანში დაიწყება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა; სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს, ქალაქ ახალციხის №5 საბავშვო ბაღის ღობისა და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველსაყოფად, რომლის მიზანია აღსაზრდელებისათვის შესაბამისი გარე სივრცის მოწყობა;

სკოლები: მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების მქონე საჯარო სკოლის მშენებლობა სოფელ ღრელში; დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განხორციელა სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეებმა სწავლა განახლებულ გარემოში დაიწყეს; ასევე, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო სოფელ ანდრიაწმინდის საჯარო სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობა;

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“: პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში სხვადასხვა სახის 46 ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. მოსახლეობის მიერ არჩეულ პრიორიტეტებს შორის არის: შიდა გზები, გარე განათება, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, სკვერები და სხვა.

სკვერები და სპორტული მოედნები: სკვერები და საბავშვო გასართობი სივრცეები მოეწყო ქალაქ ახალციხეში, თამარ მეფისა და კოსტავას ქუჩებზე, ასევე №7 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე, ასევე ქალაქ ვალეში და სოფელ ზილიკიაში, ხოლო სოფელ ღრელში გრძელდება სამშენებლო სამუშაოები;

ახალი სკვერის მოწყობა ასევე დაგეგმილია ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩა №111-ში, სადაც პროექტის ფარგლებში გასართობი და დასასვენებელი სივრცეები, გამწვანების ზოლი, საბავშვო და სპორტული მოედენები მოეწყობა;

ახალი სპორტული მოედნები მოეწყო ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქ. № 125-ში, ტაბიძის ქუჩაზე, ქალაქ ვალეში და ე.წ მეორე შახტის დასახლებაში, ასევე, სოფლებში - სხვილისში, ღრელში, მინაძეში, სვირსა და ელიაწმინდაში.

გარე განათების სისტემები: ამ დროისთვის, ქალაქ ვალესა და სოფლებში გურკელში, წინუბანში, აწყურში, წნისსა და ანში გარე განათების სისტემების მოწყობა დასრულებულია; წლის ბოლომდე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" გარე განათებები მოეწყობა დამატებით 5 სოფელში;

პროგრამა „განახლებული რეგიონები": მიმდინარე წელს, ქალაქ ახალციხეში, საქართველოს პრემიერ მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონების" ფარგლებში, ურბანული განახლების პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულდა. ქალაქის ცენტრალურ უბანში - თამარაშვილის, კოსტავას, ნათენაძის და კეცხოველის ქუჩებზე რეაბილიტაციაცია ჩაუტარდა შენობებს, მოეწყო ქალაქის ცენტრალური პარკი და სკვერები.

<u>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება</u>

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები და სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ამ მიმართულებით ადგილობრივ ბიუჯეტში 1 640 200 ლარია გათვალისწინებული.

2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ დახმარების გაცემის წესი 27 პროგრამული მუხლისაგან შედგება, საიდანაც პირველი 7 მუხლით განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსება, ხოლო დანარჩენი 20 მუხლი კი მოიცავს სოციალური დახმარების პროგრამებს.

მიმდინარე წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, მერიის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით ისარგებლა 2849-მა ბენეფიციარმა, რისთვისაც 1 289 675 ლარის ოდენობის თანხა დაიხარჯა. მათ შორის, ჯანდაცვის ქვეპროგრამებით დახმარება გაეწია 1532 ბენეფიციარს, ხოლო სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებით 1 317 -მა ბენეფიციარმა ისარგებლა.

რაც შეეხება, 2023 წელს ჯანდაცვის პროგრამებში განხორციელებული ცვლილებებს, 2022 წელს ქრონიკული დაავადების მქონე მოსახლეობისთვის მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება განსაზღვული იყო შემდეგი კატეგორიის ქრონიკული დაავადებებზე - ეპილეფსია, ცერებრული დამბლა, ფსიქიკური პრობლემები, გლაუკომა. 2023 წელს,

მოსახლეობის მომართვიანობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე დაემატა ერთი ქრონიკული სახის დაავადება - გაფანტული სკლეროზი.

0-დან 12 წლის ასაკის ჩათვლით სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამით, ასეთი საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო პროცედურები გასულ წელს ფინანსდებოდა 60%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1800 ლარისა. 2023 წელს შეიცვალა 70 %-ით და წლიური ლიმიტი გაიზარდა - 2000 ლარით.

აღინიშნა, რომ ბენეფიციართა ნაწილს რომლებიც „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესით" გათვალისწინებულ პირობებს ვერ აკმაყოფილებენ, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისა და შესწავლის საფუძველზე დახმარებას მერიის სარეზერვო ფონდიდან ეწევათ.

ასევე ხაზგასასმელია, შშმ პირების ხელშეწყობის მიზნით მოქმედი სხვადასხვა პროგრამებიც. მიმდინარე წელს 13 უსინათლო ბენეფიციარისათვის შეძენილი იქნა ხმოვანი წნევის აპარატები. აღნიშნული პროგრამა მომავალ წელსაც გაგრძელდება და ბენეფიციარებს ხმოვანი წნევის აპარატები და გლუკომეტრები გადაეცემათ.

მუნიციპალიტეტის მერმა დეტალურად ისაუბრა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე. ამ მიმართულებით ბიუჯეტში გათვალისწინებულია 452 600 ლარი. აღნიშნა, რომ 2023 წელს, ოქტომბრის თვის ჩათვლით ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა 82 ღონისძიება, მათ შორის:

- განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის და ტურიზმის განყოფილების მიერ ჩატარდა 46 ღონისძიება, რისთვისაც დაიხარჯა 185 160 ლარი;
- კულტურისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მიერ ჩატარდა 36 ღონისძიება, დაიხარჯა 100 815 ლარი;

სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ქვეპროგრამის **„ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს"**, ფარგლებში, მერის სტიპენდია მიიღო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 63 წარჩინებულმა სტუდენტმა, ფულადი წახალისების სახით გაიცა 31 500 ლარი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, მიმდინარე წლიდან განხორციელება დაიწყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულთა 100 % -იანი სასწავლო გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოს გაცემის პროექტმა. ამ ეტაპზე, შემოსულია 7 განაცხადი და მიმდინარეობს მათი განხილვა

გარდა ამისა, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმატებით ხორციელდება **„სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა"**, რომლის

საერთო ღირებულება 339 839 ლარია. პროგრამის ფარგლებში სრულდება 46 მარშრუტის 110 მიმართულება, რითაც სარგებლობს 19 სკოლის 724 ბენეფიციარი.

მასშტაბური კულტურული და სპორტული ღონისძიებები:

- 30 ივნისს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, აღინიშნა სახალხო დღესასწაული - **წმინდა შალვა ახალციხელის ხსენების დღე.**
- 17 აგვისტოს, ახალციხის ციხეზე მრავალფეროვანი აქტივობებით აღინიშნა **ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.**
- წარმატებით განხორციელდა ინოვაციური **პროექტი „აირჩიე პროფესია სწორად“**, რომლის ფარგლებში, საქართველოში ცნობილმა მენტორებმა საჯარო ლექციები ჩაუტარეს დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობას.
- მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით ქალაქ ახალციხესა და ქალაქ ვალეში **„მუსიკალური საღამოები“** გაიმართა.
- დიდი მასშტაბურობით აღინიშნა **„ღვინისა და პურის ფესტივალები“**, რომელმაც ხელი შეუწყო ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაციას და ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობას, ასევე ახალგაზრდა მეწარმეების წახალისებას.
- კულტურის სამსახურმა, სხვა ორგანიზატორებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო მათემატიკური **ოლიმპიადა „ზარზმის“** გამარჯვებული ბავშვების დაჯილდოების ღონისძიებაში.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ ორგანიზება გაეწია **სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური თამაშებს** სპორტის 8 სახეობაში.
- მასშტაბურად ჩატარდა გალა კონცერტი **კონკურს-ფესტივალის „სხვა საქართველო სად არის“** ფარგლებში.
- განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კამპანია **„ვარდისფერი ოქტომბერის“** ორგანიზებასა და განხორციელებაში, რომლის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობები კიდევ გრძელდება.
- **სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით,** 8 ნოემბერს დაგეგმილია კიდევ ერთი მასშტაბური ღონისძიება, რომლის ფარგლებში, სოფლად მცხოვრებ მეწარმე ქალებს მიეცემათ შესაძლებლობა, წარმოაჩინონ საკუთარი საქმიანობა და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება. წარმატებული მეწარმე ქალები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

ახალგაზრდული საბჭო: მერმა აუდიტორიას, მუნიციპალიტეტში შექმნილი „ახალციხის ახალგარზდრული საბჭოს“ საქმიანობაზე მიაწოდა ინფორმაცია და

აღნიშნა, რომ ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა პროექტებსა თუ აქტივობებში. მისივე თქმით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ახალგაზრდული საბჭოს ორგანიზებით, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ახალციხის ციხის ციტადელზე, ახალგაზრდული რეგიონული ფორუმი გაიმართა, რომლის მიზანს წარმოადგენდა რეგიონში ახალგაზრდების ხელშეწყობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო კოორდინირებული თანამშრომლობა.

საახალწლო ღონისძიებები: დეკემბერის ბოლოს, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ქალაქ ახალციხის ცენტრალურ ნაწილში, საახალწლოდ აენთება ახალი ულამაზესი ნაძვის ხე. საახალწლო დღეებში გაიმართება საზეიმო ღონისძიებები და საახალწლო კონცერტები, როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა შეაჯამა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული იურიდიული პირების მიერ გაწეული საქმიანობაც.

ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი“ - აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტს წარმოადგენდა თანამედროვე სტანდარტების მქონე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. სწორედ არსებული საჭიროებიდან გამომდინარე დაფუძნებული იქნა სატრანსპორტო ორგანიზაცია და მიმდინარე წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად მუნიციპალიტეტს მალე 18 ერთეული ავტო სატრანსპორტო საშუალება ეყოლება.

ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“ (ბიუჯეტი: 2 941 ,0 ათასი ლარი) - მერმა აღნიშნული აიპის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნო შეხვედრის მონაწილებს, ესენია: მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება, გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება, მოსახლეობისა და გარემოსაგან ნარჩენების სრული იზოლირება, მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა და ასევე მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების მოვლა -პატრონობა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყოველდღიურად იგვება 147 ათასი კვ. მეტრი ფართობი. აღინიშნა, რომ ზემოჩამოთვლილ სამუშაოებს ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფში" დასაქმებული 178 თანამშრომელი ემსახურება.

ირაკლი ლაზარაშვილის განცხადებით, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტმა შეიძინა სხვადასხვა სახის ტექნიკა, კერძოდ, მტვერსასრუტი, სარწყავი მანქანა, თოვლის საწმენდი მანქანა და სხვა. მისივე, თქმით, აღნიშნული ტექნიკა მომავალში მნიშვნელოვნად

გააადვილებს შესაბამისი სამსახურების მხრიდან საჭირო ღონისძიებებისა და სამუშაოების ჩატარებას ყველა სეზონზე.

ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“ (ბიუჯეტი: 650,0 ათასი ლარი) - ორგანიზაცია ახორციელებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენების, რეზერვუარებისა და შიდა ქსელების ტექნიკურად გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაოებს და უწევს ზედამხედველობას; უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ბუნებრივი სარწყავი არხებით და მექანიკური სატუმბი სადგურების საშუალებით სარწყავი წყლის მიწოდებას, ასევე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხელოვნური ტბებისა და წყალსაცავების გამართულ ფუნქციონირებას.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის მიერ რეაბილიტაცია ჩაუტარდა 12 სატუმბ სადგურს. მათ შორის, განხორციელდა 5 ახალი პროექტი. რაც შეეხება, მიმდინარე სამუშაოებს, ამ ეტაპზე ორი მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს - ქალაქ ვალეში ე.წ ბორახჩის და წისქვილების სატუმბ სადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2024 წლიდან დაგეგმილია 5 ინფრასტრუქტურული პროექტი. ესენია: სხვილისის (ფარეხა) სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია, ჭაჭარაქის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია, სოფელ წნისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ ანდის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია და სოფელ ღრელის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია.

ა(ა)იპ ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი“ (ბიუჯეტი: 115,0 ათასი ლარი) - მის დაქვემდებარებაშია ქალაქის მასშტაბით არსებული 5 სასაფლაო. იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ქ. ახალციხის ტერიტორიაზე, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასაფლაოების მოწყობა, მოვლა-პატრონობა, სარიტუალო საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ (ბიუჯეტი: 220,6 ათასი ლარი) - ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პენსიონერების, მარტოხელა, უკიდურესად გაჭირვებული და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფას.

„ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ფუნქციონირებისათვის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად გამოყოფს სუბსიდიას, რომელიც ხმარდება ბენეფიციართა კვებას, კომუნალურ გადასახადებს, თანამშრომელთა ხელფასებს და დაწესებულების სხვა საჭიროებებს. ,,ახალციხის სათნოების სახლის" უფასო სასადილოს მომსახურებით ყოველდღიურად 190-მდე ბენეფიციარი სარგებლობს.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება” (ბიუჯეტი: 5 033,0 ათასი ლარი) - მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 26 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც ამ ეტაპზე ჩარიცხულია 1825 აღსაზრდელია. მათ აღზრდა-განათლებას, კვებას, ჰიგიენას და ჯანმრთელობის დაცვას უზრუნველყოფს 478 თანამშრომელი.

ახალი თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს სოფელ აგარაში, ასევე დაგეგმილია ორი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა ქალაქ ახალციხეში.

საბავშვო ბაღებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია კვების რაციონი, რომელიც გაწერილია 5 დღეზე. მრავალფეროვანი საკვები პროდუქტებით შედგენილ ორი სახის მენიუს კვირის მონაცვლეობით იღებენ აღსაზრდელები. ერთი დღისთვის გათვალისწინებული რაციონით ბავშვი ჯამში 1300 კილოკალორიამდე იღებს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში განხორციელდა სურსათის უვნებლობის(HASSP) მართვის სისტემის დანერგვა და დასაქმებული პერსონალის გადამზადება, საკვები პროდუქტების მომზადების დროს სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტის დაცვის მიზნით განახლდა სამზარეულოები. საბავშვო ბაღებში შემოსული პროდუქტი რეგულარულად მოწმდება სურსათის ეროვნული სააგენტოს, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველსაყოფად საბავშვო ბაგა-ბაღები სრულად არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით და ჰიგიენური საშუალებებით. ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მონიტორინგის ჯგუფი მუდმივ რეჟიმში ახორციელებს ბაღების შემოწმებას.

ა(ა)იპ ,,ახალციხის ციხე" (ბიუჯეტი: 200,0 ათასი ლარი) - ქალაქ ახალციხეში, რაბათის ისტორიულ უბანში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტული ცენტრია - ახალციხის ციხე. ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების და აქ არსებული ღირსშესანიშნაობების გამო მზარდია ტურისტებისა და ვიზიტორების დაინტერესება. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით „ახალციხის ციხეს" 97 407 ვიზიტორი ეწვია, მათ შორის საქართველოს მოქალაქე - 53 983, ხოლო უცხოელი ვიზიტორი - 43 424. აღსანიშნავია, რომ შარშანდელ, ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 25 %-იანი ზრდაა.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება (ბიუჯეტი: 588,5 ათასი ლარი)

გაერთიანება მოიცავს 3 კულტურის სახლს, 13 - ბიბლიოთეკას, 13 - ახალგაზრდულ ცენტრს, სოფელ მუსხის სკოლა მუზეუმს და ანსამბლ ,,მესხეთს".

კულტურის სახლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში მოსწავლე- ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სკოლისგარეშე, უფასო თუ ფასიანი წრეებით. მუსხის სკოლა-მუზეუმში მოსწავლეები ასევე უფასოდ ეუფლებიან მატყლის დამუშავებას და ქსოვას. ყოველწლიურად ხორციელდება ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდების განახლება. გაერთიანებაში შემავალი ანსამბლი ,, მესხეთი", მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის მიზნით, წარმატებით მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოს მასშტაბით გამართულ კულტურულ ღონისძიებებში.

ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა" (ბიუჯეტი: 455,0 ათასი ლარი) - მის დაქვემდებარებაში არის ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალის და სოფელ აწყურის სამუსიკო სკოლები, რომელთა კონტიგენტი შეადგენს 483 მოსწავლეს. 2022 წლის სექტემბრიდან

მუსიკალური სკოლაში სწავლა ყველასთვის უფასო გახდა და საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, რაც სწორედ მერიის მიერ სწავლის მთლიანი საფასურის დაფინანსებით არის განპირობებული. სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ ცოდნას საფორტეპიანო, სავიოლინო, საგუნდო, ფლეიტისა და დასარტყამი ინსტრუმენტების განხრით.

ა(ა)იპ "სამხატვრო სკოლა" (ბიუჯეტი: 169,0 ათასი ლარი)- სექტემბრის თვიდან სამხატვრო სკოლაშიც სწავლა ყველასთვის უფასო გახდა. მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენს 380-ს. სკოლა მრავალფეროვან სასწავლო პროგრამას სთავაზობს მათ. მოსწავლეები ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, მოდელირებას და გამოყენებით ხელოვნებას. ასევე, კომპოზიციაზე, ქანდაკებაზე, მინანქარზე, კერამიკასა და თექაზე მუშაობას.

<u>ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება"</u> (ბიუჯეტი: 947,0 ათასი ლარი) - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

2022 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად მოხდა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ორი სპორტული ა(ა)იპის შერწყმა და სექტემბრის თვიდან ფუნქციონირება დაიწყო ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტულმა გაერთიანებამ".

აქ ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ სპორტის სხვადასხვა სახეობას და გამოავლინონ თავიანთი უნარები. გაერთიანებაში 14 სახეობის სპორტული წრე ფუნქციონირებს, 37 სექციაში 468 ახალგაზრდა ეუფლება სპორტის შემდეგ სახეობებს: ფეხბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ტაე-კვანდო, ჭადრაკი, კალათბურთი, ძიუდო, კრივი, კიკ-ბოქსინგი, მკლავჭიდი, ძალოსნობა, შერეული ორთაბრძოლები და სხვა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, მონაწილეებმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ საჭიროებებზე და მათი მოგვარების გზებზე იმსჯელეს.

სოციალურ პროგრამებზე საუბრისას, მედიასაშუალების წრმომადგენელი ინგა ირიციანი დაინტერესდა 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების დაფინანსების პროგრამით და მოსახლეობის მხრიდან მომართვიანობის სტატისტიკით.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელმა, გურამ ჯინჭველაძემ დადებითად შეაფასა ახლახანს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის სრულ დაფინანსებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯების გამოთავისუფლება მოხდება. მან ასევე ისაუბრა სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტებზე და დაინტერესდა მუნიციპალიტეტის მხრიდან იგეგმება თუ არა ქალაქის მასშტაბით არსებული დაზიანებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, მისი თქმით ბიუჯეტირების პროცესში მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნული საკითხის გათვალისწინება. ირაკლი ლაზარაშვილის განცხადებით სპორტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტები მომავალ წელსაც აქტიურად გაგრძელდება, დაგეგმილია ქალაქში 5 სპორტული მოედანის

რეაბილიტაცია, ასევე ახალი მინი მოედნები მოეწყობა აბის დასახლებაში, ქალაქ ვალეში, თამარ მეფის ქუჩაზე და სოფლებში წყრუთსა და თისელში.

„დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ ახალციხის ოფისის ხელმძღვანელმა თამარ თუმანიშვილმა ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობაზე ინოვაციურ, სამეწარმეო თუ სხვა სახის ახალგაზრდულ პროექტებში და პროგრამებში. ისაუბრა ახლახანს ჯიტას მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობაზე და მიღწეულ წარმატებაზე. აქცენტი გაკეთდა ახალგაზრდულ ბანაკებზე და ახალგაზრდების ხელშეწყობის აუცილებლობაზე, განსაკუთრებით ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის მიმართულებით.

შეხვედრის მონაწილეთა მხრიდან ყურადღება გამახვილდა განსაკუთრებით შემოდგომაზე, მოსახლეობის მიერ ხმელი ფოთლებისა თუ ბალახის დაწვასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემაზე და მერიის მხრიდან რეაგირების აუცილებლობაზე.

საუბარი შეეხო საზოგადოებრივი ტრანსპორტის აიპისთვის კერძო მესაკუთრისგან საბარგო სადგურის ტერიტორიაზე არსებული მზა ინფრასტრუქტურისა და შენობების შეძენის მართებულობას.

არასამთავრობო ორგანიზაციის „თანადგომა შვილებს“ წარმომადგენელმა მაია გაჩეჩილაძემ დღის ცენტრის დაფინანსებაზე და შშმ პირებისათვის სოციალური საწარმოს მოწყობაზე ისაუბრა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს პროექტის განხორციელებაში მხარდაჭერა სთხოვა.

შეხვედრის მონაწილეთა მხრიდან აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია შშმ პირთა მხარდაჭერა და აუცილებელია ქალაქში რაც შეიძლება მეტი დღის ცენტრი ფუნქციონირებდეს, რათა ბენეფიციარებმა შესაბამისი მომსახურების მიღება სრულფასოვნად შეძლონ. მერმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ მუნიციპალიტეტში შესაძლოა დაინერგოს ვაუჩერული ტიპის დაფინანსება და შემდგომ ბენეფიციარმა თავად მიიღოს გადაწყვეტილება, სად და რომელ დაწესებულებაში გამოიყენოს აღნნიშნული ვაუჩერი.

მერის მოადგილემ რუბენ კარაპეტიანმა აუდიტორიას დამატებით მიაწოდა ინფორმაცია გაცემის წესში გათვალისწინებულ პროგრამებზე და იმ კრიტერიუმებზე, რომლებსაც ბენეფიციარები უნდა აკმაყოფილებდნენ. მისივე თქმით, არსებულ პროგრამებს, ეტაპობრივად ემატება ახალი ქვეპროგრამები, რომლებიც საჭიროებებების კვლევის შედეგად იქნა გამოკვეთილი. რაც შეეხება, შშმ პირებისათვის სოციალური საწარმოს შექმნას, მან ინიციატორს საკითხის განხილვა შშმ პირთა საბჭოს სხდომაზე შესთავაზა, რათა გადაწყვეტილება ერთობლივად იქნას მიღებული.

ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ წარმომადგენელმა ჯუნა სტეფნაძემ სოფელ ურაველში, გარკვეულ მონაკვეთებზე შიდა გზებისა და სანიაღვრე არხების მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება და დაინტერესდა იგეგმება თუ არა ინფრასტრუქტურული სამუშაოები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, მერის განცხადებით, ამ ეტაპზე სოფელ ურაველში 600 ათასი ლარის ღირებულების საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. მომავალში, ეტაპობრივად გაგრძელდება

სოფელში არსებული შიდა გზების რეაბილიტაცია, მომზადდება საპროექტო დოკუმენტაცია და ყველა პრობლემური მონაკვეთი მოწესრიგდება. მერმა აღნიშნა, რომ ეს არის უწყვეტი პროცესი და ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

შეხვედრის დასკვნით ნაწილში, ყურადღება გამახვილდა 2024 წლის გეგმებზე, განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და მთავარ პრიორიტეტებზე. როგორც, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, მომავალი წლის დასაწყისიდან ქალაქ ახალციხეში და ადმინისტრაციულ ერთეულებში ოპერირებას დაიწყებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მოგვარდება. მერმა, ისაუბრა სოფელ თისელთან დამაკავშირებელი გზის დარჩენილი, 3 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციაზეც, რომლის პროექტი მზად არის და იგეგმება ტენდერის გამოცხადება, სამუშაოების განხორციელების შედეგად კი მთლიანად დასრულდება აწყური-თისელის გზის კეთილმოწყობა. ასევე მომავალ წელს იგეგმება, ქალაქ ახალციხეში რამდენიმე ქუჩაზე, მათ შორის გამსახურდიას, რუსთაველის, სარგის ჯაყელის ქუჩების შიდა გზების რეაბილიტაცია, საუბარი შეეხო ღია სპორტული არენის, კინო კლუბის და მუსიკალური სკოლისთვის ახალი შენობის აშენებას. რაც შეეხება, ამჟამად არსებულ სამუსიკო სკოლას, მუნიციპალიტეტი გეგმავს შენობას დაუბრუნდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ორბელიანის სასახლის სახე, რომელიც მომავალში ფუნქციონირებას გააგრძელებს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი - ხელოვნების სასახლე.

ღონისძიება: შეხვედრა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან

თარიღი 31.10.2023

ადგილი ახალციხე

№	სახელი და გვარი	ქალაქი, სოფელი	ორგანიზაცია	თანამდებობა	მობილურის ნომერი	ელექტრონული მისამართი	ასაკი		ხელმოწერა
							26 წლამდე	26 წელს ზევით	
1	გიორგი ჯინჭველაძე	ახალციხე	სასოფლო-საკონსულტაციო სამსახური	ექსპერტი	599517891	jinchvel@gmail.com			
2	ანა ტუღუშინიანი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	[illegible] სკოლა	სოციოლოგი	597769909		√		ა. ტუღუშინიანი
3.	ნინელი ფოცხიშვილი	ახალციხე ფოცხოვი	ახალციხის ფაფლოსანი ეკლესიის საეტაპო	კოორდინატორი	574066752	vardidzebatu@gmail.com	√		ნ. ფ.
4.	სუსანა შაქარიანი	ახალციხე	MDF, სოციალურის პროგრამა	ექსპერტი	571-90-62-77	shakarsyans@gmail.com	√		
5	მარიამ პეტროსიანი	ახალციხე	სკოლამდე ასაკის ბავშვთა ბაღი „ცოცანა"	ადმინისტრაციული მოადგილის მოადგილე	571-19-20-14	mariampetrosyan5@gmail.com		√	მ. პეტროსიანი
6.	თამთა ნაპირელი	ახალციხე	ახალციხის „ფოლადი"	კომუნიკაციების მენეჯერი	599020822	tamtanapireli1987@gmail.com		√	თ. ნ.
7.	დავითი ალავიძე	ახალციხე	ახალციხის ახალგაზ. ცენტრი	მსურველ მოსახლეობის კოორდინატორი	597126657	patialavidze1@gmail.com		√	დ.
8	[illegible]	ახალციხე	[illegible]	კოორდინატორი	599447411	tmeladze[illegible]			
	ქეთი ბალახაშვილი	ახალციხე	ISFED	ნაბიჯები ფიფი	579800814	k.balakhashvili.ndi@gmail.com		√	

№	სახელი და გვარი	ქალაქი	ორგანიზაცია	პოზიცია	მობილურის ნომერი	ელექტრონული მისამართი	ასაკი		ხელმოწერა
							26 წლამდე	26 წელს ზევით	
	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	574 22 48 31	elene.datalishvili2001@gmail.com	✓		[illegible]
	მარიამ ზაზაძე	ახალციხე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	ახალ. მუნიციპალ.	591-44-97-66	mariam2029dze@gmail.com		✓	[illegible]
	[illegible]	ახალციხე	მერია	საშსახურის უფროსი	577998735	k.mishvelidze@gmail.com	✓		[illegible]
	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	574 [illegible]			✓	[illegible]
	ია გოგატიშვილი	ახალციხე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	მანყოფილების ხელმძღვანელი	591 91 89 00	igogatishvili@gmail.com		✓	[illegible]
	ბელა ავალიშვილი	ახალციხე	სსიპ "ნინოწმინდის ინფორმაციული"	დირექტორი	577200730	Belaavalishvili@gmail.com		✓	[illegible]
	ზაზა სტეფანაძე	ვალე	მოქალაქე	—	597-045517	—		✓	[illegible]
	ნინო სხვიტარიძე	ახალციხე	საგადასახადო გადახდევინებათა-საქმისწარმოების	იურისტი	568-790-141	jstephnadze@gmail.com		✓	[illegible]
	მაია გაჩечილაძე	ახალციხე	ჟურნალ "ფრონტალ" [illegible]	თავმჯდომარე	597565646	maiagachechiladze3@gmail.com		✓	[illegible]
	[illegible]	ახალციხე	[illegible]	[illegible]	597998377	—		✓	[illegible]
	[illegible]	ახალციხე	[illegible]	[illegible]	568443803	—		✓	[illegible]

№	სახელი და გვარი	ქალაქი	ორგანიზაცია	პოზიცია	მობილურის ნომერი	ელექტრონული მისამართი	ასაკი		ხელმოწერა
							26 წლამდე	26 წელს ზევით	
	ინგა ირიციანი	ზუგდიდი	TOK TV	ჟურნალისტი	555020355	ingairitsyan@yahoo.com		✓	
	ზურაბ სადაღაძე	ზუგდიდი		ოპერატორ-მონტაჟერი	599711228	Zurabsadaq@gmail.com		✓	